# საზოგადოებრივი მაუწყებლის წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში

1.09.20 - 30.10.20



არჩევნები 2020

# შინაარსი

**პირველი არხი** ______ **5**
საინფორმაციო გადაცემები ______ 5
ანალიტიკური გადაცემები/ თოქშოუები ______ 21
მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით ______ 25

**საქართველოს რადიო** ______ **29**
საინფორმაციო გადაცემები ______ 30
საქართველოს რადიოს თოქშოუ ______ 39

**რეკლამა** ______ **40**
პირველ არხზე და საქართველოს რადიოში საარჩევნო სუბიექტების მიერ ათვისებული უფასო სარეკლამო დრო ______ 40

მონიტორინგის შედეგები აჩვენებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკის ძირითად ტენდენციებს:

- საინფორმაციო პროგრამებში საარჩევნო სუბიექტები შუქდება მათი აქტივობების შესაბამისად;
- ანალიტიკურ გადაცემებსა და თოქშოუებში მეტი აქცენტი კეთდება იმ პარტიების გაშუქებაზე, რომლებიც პოლარიზებული საარჩევნო და მედიაგარემოს პირობებში ამომრჩეველთა ყურადღების მიღმა რჩებიან;
- ერთმანეთის მიმართ მკვეთრად პოლარიზებული საარჩევნო აქტორების ფონზე, მაუწყებლის გაშუქების ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ნეიტრალურია.

პირველი არხის და საქართველოს რადიოს საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ყველა გადაცემის მონიტორინგი პირველი სექტემბრიდან მიმდინარეობს და მიზნად ისახავს მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დროის რაოდენობრივი მონაცემების დათვლას.
მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგი წარმოებს სპეციალურად შექმნილი პროგრამის საშუალებით, თითოეულ ჩანაწერზე ტელეგადაცემის/სიუჟეტის ლინკის მითითებით. როგორც პრაიმ თაიმში, ასევე ოფ პრაიმში. გაშუქებული ინფორმაციის დამუშავებას უზრუნველყოფენ სხვადასხვა პლატფორმისა და გადაცემის სპეციფიკის გათვალისწინებით დატრენინგებული მონიტორები.

**მონიტორინგის სუბიექტები არიან:**

- საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისათვის ცესკოში რეგისტრირებული პარტიები/ბლოკები
- პარლამენტის არჩევნებისათვის საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი, ცესკოში რეგისტრირებული, მაჟორიტარი კანდიდატები
- საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნებზე ცესკოში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტები
- აჭარის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო სუბიექტები
- მთავრობა
- პარლამენტი
- პრეზიდენტი
- ადგილობრივი თვითმმართველობები
- ცესკო
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- საერთაშორისო ორგანიზაციები

# მონიტორინგის მეთოდოლოგია

წინასაარჩევნო მონიტორინგის რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს სუბიექტისთვის (გამომსვლელისთვის) დათმობილ დროს, პირდაპირ და ირიბ გაშუქებას დათმობილი დროის და გაშუქების ტონის მიხედვით (პოზიტიური, ნეგატიური, ნეიტრალური). ამასთან განვმარტავთ, რომ სუბიექტისთვის (გამომსვლელისთვის) დათმობილი დრო წარმოადგენს სუბიექტის პირდაპირ გაშუქებას. ამ მონაცემს გამოვყოფთ იმისათვის, რომ ხაზი გავუსვათ საარჩევნო სუბიექტებისათვის მაუწყებლის მიერ დათმობილი დროის გადანაწილებას.

- პირდაპირ გაშუქებად ითვლება, როდესაც სუბიექტი თავად საუბრობს
- ირიბ გაშუქებად ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობენ სხვები

მონიტორი აღნიშნავს სუბიექტის მიერ ნახსენებ ყველა ობიექტს ცალ-ცალკე, ქრონომეტრაჟის და გაშუქების ტონის მითითებით. საარჩევნო მონიტორინგის დროს ქრონომეტრაჟი არ მრგვალდება. გაშუქების ტონის განსაზღვრისას:

- ნეგატიურად ითვლება გამომსვლელის მიერ მწვავე, უარყოფითი კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენებით გაკეთებული განცხადებები

- პოზიტიურად ითვლება გამომსვლელის მიერ დადებითი კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენებით გაკეთებული განცხადებები

- ნეიტრალურად ითვლება სიტუაციის აღწერა, ფაქტების დაფიქსირება, ასევე ინფორმაცია, რომელიც არ გამოხატავს გამომსვლელის დამოკიდებულებას, მშრალად, დადებითი და ნეგატიური კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენების გარეშე აღწერს მოვლენებს.

მონიტორინგი ასახავს, როგორც სუბიექტებისათვის დათმობილი მთლიანი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, ასევე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების დროს და ტონს.

წარმოგიდგენთ პირველი არხის და საქართველოს რადიოს წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის მთლიან ანგარიშს. ანგარიში ასევე მოიცავს პირველ არხზე გაშუქებული სუბიექტების მონიტორინგს სქესის ჭრილში და საარჩევნო სუბიექტების მიერ ათვისებული უფასო სარეკლამო დროის მონიტორინგს პირველ არხზე და საქართველოს რადიოში.




## საინფორმაციო გადაცემები

| | | | |
|---|---|---|---|
| მოამბე - 08:00 | მოამბე - 10:00 | მოამბე - 15:00 | მოამბე - 21:00 |
| მოამბე - 09:00 | მოამბე - 12:00 | მოამბე - 18:00 | |

მოამბის ყოველდღიური, შვიდივე გამოშვების წინასაარჩევნო მონიტორინგის დროს გაიზომა როგორც საარჩევნო, ასევე არასაარჩევნო თემებში გაშუქებული მონიტორინგის ყველა სუბიექტი.

## მონიტორინგის საარჩევნო სუბიექტები

ანგარიშში დაჯგუფებულია მონიტორინგის საარჩევნო სუბიექტები. რეგისტრირებული პარტიების/ბლოკების გარდა, მათ შორის არის საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი, მაჟორიტარი კანდიდატების გაშუქების ხანგრძლივობა ჯამურად (ანგარიშში წარმოდგენილია, როგორც დამოუკიდებელი დეპუტატები), საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნების სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ჯამურად (ანგარიშში წარმოდგენილია, როგორც ადგილობრი-ვი თვითთმმართველობების არჩევნები), აჭარის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ჯამურად (ანგარიშში წარმოდგენილია როგორც აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები).

პარტიები/ბლოკები აღნიშნულია სახელწოდებებით, რომლითაც ისინი მონაწილეობენ არჩევნებში. მონაცემები აღებულია ცესკოს ოფიციალური ვებგვერდიდან.

საანგარიშო პერიოდში, მოამბეში გაშუქებული საარჩევნო თემების რაოდენობაა 1712, დათმობილი დრო 50:00:21 (ორმოცდაათი საათი, ნული წუთი და ოცდაერთი წამი).

მონიტორინგის მიხედვით, გაშუქება ხორციელდება საარჩევნო სუბიექტების აქტივობის შესაბამისად. სულ გაშუქდა 52 საარჩევნო სუბიექტი, მათ შორის 49 რეგისტრირებული პარტია/ბლოკი. წარმოდგენილი საარჩევნო სუბიექტებისთვის (გამომსვლელებისთვის) პირდაპირ დათმობილი დრო მოამბეში არის 23:29:50 (ოცდასამი საათი, ოცდაცხრა წუთი და ორმოცდაათი წამი).

საარჩევნო სუბიექტებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს პარტიას „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ (3:54:46) მეორე ადგილზეა ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია "ძალა ერთობაშია" (3:29:00), მესამე პოზიციაზე პარტია „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ (3:21:33). ეს არის საარჩევნო კამპანიის ყველაზე მეტი აქტივობებით გამორჩეული სამი სუბიექტი, მათი აქტივობები პირდაპირპროპორციულად ასახულია მოამბის ეთერში და შესაბამისად ჩანს მონიტორინგის შედეგებში. ამასთანავე საარჩევნო სუბიექტების გაშუქებაზე დინამიკაში დაკვირვება აჩვენებს, რომ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წინასაარჩევნო კამპანიამ ყველაზე აქტიური სახე არჩევნებამდე ორი კვირით ადრე მიიღო და შესაბამისად დაწინაურდა კონკურენტ სუბიექტებს შორის.

## (ცხრილი #1 - მოამბეში საარჩევნო სუბიექტები (გამომსვლელები) პირდაპირ დათმობილი დროის და პროცენტული გადანაწილების მითითებით)

| საარჩევნო სუბიექტები | დრო | პროცენტი |
|---|---|---|
| ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | 3:54:46 | 16.65% |
| ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია "ძალა ერთობაშია" | 3:29:00 | 14.82% |
| ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის | 3:21:33 | 14.30% |
| ბლოკი გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი | 1:25:32 | 6.07% |
| ლელო - მამუკა ხაზარაძე | 1:22:24 | 5.84% |
| ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა | 1:12:31 | 5.14% |
| შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 1:00:43 | 4.31% |
| დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი | 0:38:46 | 2.75% |
| ეკა ბესელია - პ.პ. სამართლიანობისთვის | 0:34:16 | 2.43% |
| თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია) | 0:33:45 | 2.39% |
| ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი | 0:31:54 | 2.26% |
| ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები | 0:23:34 | 1.67% |
| დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატები | 0:22:16 | 1.58% |
| ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი | 0:20:59 | 1.49% |
| გირჩი | 0:17:33 | 1.24% |
| დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა- ქდმ | 0:14:16 | 1.01% |
| თავისუფალი დემოკრატები | 0:13:34 | 0.96% |
| ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი | 0:12:43 | 0.90% |
| ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო | 0:12:34 | 0.89% |
| ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია | 0:12:28 | 0.88% |
| ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა | 0:11:56 | 0.85% |
| სოციალური სამართლიანობისათვის | 0:10:53 | 0.77% |
| რეფორმერი | 0:10:43 | 0.76% |
| არჩევანი სამშობლოსათვის | 0:10:13 | 0.72% |
| მომავალი საქართველო | 0:10:07 | 0.72% |
| გია ჟორჟოლიანი - სოციალ - დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის | 0:07:51 | 0.56% |
| პროგრესული საქართველო | 0:07:22 | 0.52% |
| პარტია თეთრები | 0:07:20 | 0.52% |
| თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის | 0:07:03 | 0.50% |
| საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა | 0:06:26 | 0.46% |
| სახალხო პარტია | 0:06:20 | 0.45% |
| ქართული ფესვები | 0:06:16 | 0.44% |
| თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა | 0:05:55 | 0.42% |
| ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა | 0:05:38 | 0.40% |
| გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია | 0:05:36 | 0.40% |
| ქართული იდეა | 0:05:33 | 0.39% |
| საქართველოს განვითარების პარტია | 0:05:32 | 0.39% |
| შეცვალე საქართველო | 0:05:11 | 0.37% |
| ახალი ძალა | 0:05:00 | 0.35% |
| ზვიადის გზა (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) | 0:05:00 | 0.35% |

| | | |
|---|---|---|
| მშრომელთა სოციალისტური პარტია | 0:05:00 | 0.35% |
| ახალი ქრისტიან-დემოკრატები | 0:05:00 | 0.35% |
| ტრადიციონალისტები | 0:05:00 | 0.35% |
| რეფორმატორები | 0:05:00 | 0.35% |
| ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები | 0:03:30 | 0.25% |
| საქართველო | 0:03:00 | 0.21% |
| აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები | 0:01:38 | 0.12% |
| სერგო ჯავახიძე - ევროატლანტიკური ვექტორი | 0:00:40 | 0.05% |

მონიტორინგის სუბიექტების ირიბ გაშუქებას დაეთმო 18:09:51 (თვრამეტი საათი, ცხრა წუთი და ორმოცდათერთმეტი წამი). ყველაზე მაღალი ირიბი გაშუქება საარჩევნო სუბიექტებს შორის აქვს პარტიას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" (5:43:21), რაც ნიშნავს რომ ქართულ ოცნებაზე საუბარს მონიტორინგის სხვა სუბიექტებმა ყველაზე მეტი დრო დაუთმეს; მეორე ადგილზეა ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" (3:58:53); მესამე პოზიციაზეა პარტია „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის" (1:43:19).

**მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა ზოგადად ოპოზიციის ირიბი გაშუქება (01:43:43), რომელიც არ მიეკუთვნა არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტს და შესაბამისად არ შედის საერთო მონაცემებში.**

**(ცხრილი # 2 - მოამბეში საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება დათმობილი დროის მითითებით)**

| საარჩევნო სუბიექტები | პირდაპირი | ირიბი |
|---|---|---|
| ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | 3:54:46 | 5:43:21 |
| ბლოკი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია "ძალა ერთობაშია" | 3:29:00 | 3:58:53 |
| ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის | 3:21:33 | 1:43:19 |
| ბლოკი - გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი | 1:25:32 | 0:50:18 |
| ლელო - მამუკა ხაზარაძე | 1:22:24 | 0:53:44 |
| ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა | 1:12:31 | 0:22:26 |
| შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 1:00:43 | 0:30:27 |
| დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი | 0:38:46 | 0:26:28 |
| ეკა ბესელია - პ.პ. სამართლიანობისთვის | 0:34:16 | 0:14:04 |
| თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია) | 0:33:45 | 0:20:48 |
| ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი | 0:31:54 | 0:15:00 |
| ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები | 0:23:34 | 0:14:31 |

| | | |
|---|---|---|
| დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატები | 0:22:16 | 0:16:52 |
| ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი | 0:20:59 | 0:14:20 |
| გირჩი | 0:17:33 | 0:05:13 |
| დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა- ქდმ | 0:14:16 | 0:07:07 |
| თავისუფალი დემოკრატები | 0:13:34 | 0:08:39 |
| ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი | 0:12:43 | 0:08:56 |
| ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო | 0:12:34 | 0:03:55 |
| ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია | 0:12:28 | 0:06:30 |
| ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა | 0:11:56 | 0:07:04 |
| სოციალური სამართლიანობისათვის | 0:10:53 | 0:03:12 |
| რეფორმერი | 0:10:43 | 0:09:04 |
| არჩევანი სამშობლოსათვის | 0:10:13 | 0:04:13 |
| მომავალი საქართველო | 0:10:07 | 0:04:31 |
| გია ჟორჟოლიანი - სოციალ - დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის | 0:07:51 | 0:02:27 |
| პროგრესული საქართველო | 0:07:22 | 0:02:55 |
| პარტია თეთრები | 0:07:20 | 0:02:00 |
| თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის | 0:07:03 | 0:22:28 |
| საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა | 0:06:26 | 0:01:35 |
| სახალხო პარტია | 0:06:20 | 0:02:28 |
| ქართული ფესვები | 0:06:16 | 0:01:53 |
| თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა | 0:05:55 | 0:00:35 |
| ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა | 0:05:38 | 0:00:53 |
| გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია | 0:05:36 | 0:00:37 |
| ქართული იდეა | 0:05:33 | 0:00:39 |
| საქართველოს განვითარების პარტია | 0:05:32 | 0:01:11 |
| შეცვალე საქართველო | 0:05:11 | 0:00:51 |
| ახალი ძალა | 0:05:00 | 0:05:10 |
| ზვიადის გზა (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) | 0:05:00 | 0:02:12 |
| მშრომელთა სოციალისტური პარტია | 0:05:00 | 0:00:50 |
| ახალი ქრისტიან-დემოკრატები | 0:05:00 | 0:00:32 |
| ტრადიციონალისტები | 0:05:00 | 0:00:25 |
| რეფორმატორები | 0:05:00 | 0:00:15 |
| ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები | 0:03:30 | 0:03:43 |
| საქართველო | 0:03:00 | 0:01:27 |
| აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები | 0:01:38 | 0:01:06 |
| სერგო ჯავახიძე - ევროატლანტიკური ვექტორი | 0:00:40 | 0:00:30 |
| მამულიშვილთა ორდენი "სამშობლო" | 0:00:00 | 0:00:07 |
| მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს | 0:00:00 | 0:00:06 |
| მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის | 0:00:00 | 0:00:05 |
| ეროვნულ - დემოკრატიული პარტია (ედპ) | 0:00:00 | 0:00:05 |

(გრაფიკი # 1 - მოამბეში საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების პროცენტული გადანაწილება. 100%-ად ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟი)

## პირდაპირი და ირიბი გაშუქება



მონიტორინგის ფარგლებში გაზომილ მონაცემებში აისახა საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტების ერთმანეთის მიმართ მკვეთრი პოლარიზაცია. სუბიექტების გაშუქების ტონის მიხედვით, გამომსვლელების საუბრისას ყველაზე მაღალი ნეგატიური მაჩვენებელი დაფიქსირდა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" მიმართ (2:41:12). ამ პარტიის მიმართ ყველაზე ნეგატიური გამოსვლებით გამოირჩეოდნენ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია- ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის", „ლელო - მამუკა ხაზარაძე", „ბლოკი - გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი"; მაღალი ნეგატიური მაჩვენებლით მეორე ადგილზეა ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" (1:25:24) ამ ბლოკის მიმართ ნეგატიური გამოსვლები ჰქონდათ პარტიებს: „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველო", „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი", „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის".

ერთმანეთის მიმართ მკვეთრად პოლარიზებული საარჩევნო აქტორების ფონზე, მაუწყებლის გაშუქების ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ნეიტრალურია.

**(ცხრილი # 3 - მოამბეში საარჩევნო სუბიექტების გაშუქების ტონი. დათმობილი დროის და პროცენტის მითითებით. 100%-ად ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟი)**

| საარჩევნო სუბიექტები | ნეგატიური | | ნეიტრალური | | პოზიტიური | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | 27.9% | 2:41:12 | 49.4% | 4:45:29 | 22.7% | 2:11:26 |
| ბლოკი – "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია"ძალა ერთობაშია" | 19.1% | 1:25:24 | 67.8% | 5:03:44 | 13.1% | 0:58:45 |
| ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის | 3.1% | 0:09:33 | 80.5% | 4:05:27 | 16.4% | 0:49:52 |
| ლელო - მამუკა ხაზარაძე | 1.7% | 0:02:19 | 71.9% | 1:37:54 | 26.4% | 0:35:55 |
| ბლოკი – გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი | 1.9% | 0:02:34 | 75.2% | 1:42:07 | 22.9% | 0:31:09 |
| ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა | 0.0% | 0:00:00 | 79.9% | 1:15:52 | 20.1% | 0:19:05 |
| შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 0.0% | 0:00:00 | 80.6% | 1:13:29 | 19.4% | 0:17:41 |
| დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი | 1.8% | 0:01:09 | 62.9% | 0:41:02 | 35.3% | 0:23:03 |
| თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია) | 0.0% | 0:00:00 | 55.3% | 0:30:09 | 44.7% | 0:24:24 |
| ეკა ბესელია - პ.პ. სამართლიანობისთვის | 1.0% | 0:00:30 | 71.5% | 0:34:33 | 27.5% | 0:13:17 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი | 0.8% | 0:00:22 | 70.2% | 0:32:56 | 29.0% | 0:13:36 |
| დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატები | 1.1% | 0:00:25 | 85.2% | 0:33:21 | 13.7% | 0:05:22 |
| ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები | 0.0% | 0:00:00 | 65.2% | 0:24:49 | 34.8% | 0:13:16 |
| ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი | 0.0% | 0:00:00 | 67.2% | 0:23:44 | 32.8% | 0:11:35 |
| თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის | 0.0% | 0:00:00 | 35.6% | 0:10:30 | 64.4% | 0:19:01 |
| გირჩი | 0.0% | 0:00:00 | 70.5% | 0:16:03 | 29.5% | 0:06:43 |
| თავისუფალი დემოკრატები | 1.7% | 0:00:23 | 45.7% | 0:10:09 | 52.6% | 0:11:41 |
| ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი | 0.0% | 0:00:00 | 59.0% | 0:12:46 | 41.0% | 0:08:53 |
| დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა- ქდმ | 1.1% | 0:00:14 | 60.9% | 0:13:01 | 38.0% | 0:08:08 |
| რეფორმერი | 0.0% | 0:00:00 | 33.4% | 0:06:37 | 66.6% | 0:13:10 |
| ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა | 3.2% | 0:00:36 | 58.6% | 0:11:08 | 38.2% | 0:07:16 |
| ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია | 0.0% | 0:00:00 | 70.5% | 0:13:22 | 29.5% | 0:05:36 |
| ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო | 4.3% | 0:00:43 | 60.6% | 0:09:59 | 35.1% | 0:05:47 |
| მომავალი საქართველო | 0.0% | 0:00:00 | 57.7% | 0:08:27 | 42.3% | 0:06:11 |
| არჩევანი სამშობლოსათვის | 0.0% | 0:00:00 | 83.1% | 0:12:00 | 16.9% | 0:02:26 |
| სოციალური სამართლიანობისათვის | 0.0% | 0:00:00 | 56.6% | 0:07:58 | 43.4% | 0:06:07 |
| | | | | | | |
| გია ჟორჟოლიანი - სოციალ - დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის | 0.0% | 0:00:00 | 40.5% | 0:04:10 | 59.5% | 0:06:08 |
| პროგრესული საქართველო | 0.0% | 0:00:00 | 56.4% | 0:05:48 | 43.6% | 0:04:29 |
| ახალი ძალა | 0.0% | 0:00:00 | 50.8% | 0:05:10 | 49.2% | 0:05:00 |
| პარტია თეთრები | 0.0% | 0:00:00 | 49.3% | 0:04:36 | 50.7% | 0:04:44 |
| სახალხო პარტია | 0.0% | 0:00:00 | 45.5% | 0:04:00 | 54.5% | 0:04:48 |
| ქართული ფესვები | 0.0% | 0:00:00 | 28.8% | 0:02:21 | 71.2% | 0:05:48 |
| საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა | 0.0% | 0:00:00 | 24.9% | 0:02:00 | 75.1% | 0:06:01 |
| ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები | 0.0% | 0:00:00 | 95.6% | 0:06:54 | 4.4% | 0:00:19 |
| ზვიადის გზა (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) | 0.0% | 0:00:00 | 32.9% | 0:02:22 | 67.1% | 0:04:50 |
| საქართველოს განვითარების პარტია | 0.0% | 0:00:00 | 30.0% | 0:02:01 | 70.0% | 0:04:42 |
| ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა | 0.0% | 0:00:00 | 13.6% | 0:00:53 | 86.4% | 0:05:38 |
| თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა | 0.0% | 0:00:00 | 96.2% | 0:06:15 | 3.8% | 0:00:15 |
| გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია | 0.0% | 0:00:00 | 43.7% | 0:02:43 | 56.3% | 0:03:30 |
| ქართული იდეა | 0.0% | 0:00:00 | 32.0% | 0:01:59 | 68.0% | 0:04:13 |
| შეცვალე საქართველო | 0.0% | 0:00:00 | 33.4% | 0:02:01 | 66.6% | 0:04:01 |
| მშრომელთა სოციალისტური პარტია | 0.0% | 0:00:00 | 14.3% | 0:00:50 | 85.7% | 0:05:00 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახალი ქრისტიან-დემოკრატები | 0.0% | 0:00:00 | 27.7% | 0:01:32 | 72.3% | 0:04:00 |
| ტრადიციონალისტები | 0.0% | 0:00:00 | 7.7% | 0:00:25 | 92.3% | 0:05:00 |
| რეფორმატორები | 0.0% | 0:00:00 | 100.0% | 0:05:15 | 0.0% | 0:00:00 |
| საქართველო | 0.0% | 0:00:00 | 100.0% | 0:04:27 | 0.0% | 0:00:00 |
| აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები | 0.0% | 0:00:00 | 80.5% | 0:02:12 | 19.5% | 0:00:32 |
| სერგო ჯავახიძე - ევროატლანტიკური ვექტორი | 14.3% | 0:00:10 | 85.7% | 0:01:00 | 0.0% | 0:00:00 |
| მამულიშვილთა ორდენი "სამშობლო" | 0.0% | 0:00:00 | 100.0% | 0:00:07 | 0.0% | 0:00:00 |
| მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს | 0.0% | 0:00:00 | 100.0% | 0:00:06 | 0.0% | 0:00:00 |
| მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის | 0.0% | 0:00:00 | 100.0% | 0:00:05 | 0.0% | 0:00:00 |
| ეროვნულ - დემოკრატიული პარტია (ედპ) | 0.0% | 0:00:00 | 100.0% | 0:00:05 | 0.0% | 0:00:00 |

(გრაფიკი # 2 - მოამბეში საარჩევნო სუბიექტების გაშუქების ტონი პროცენტული გადანაწილებით. 100%-ად ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟი)

## გაშუქების ტონი



30 სექტემბრიდან, „მოამბე“ (მოამბე 21:00) როგორც კვალიფიციურ, ასევე არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს თანაბრად უთმობდა ეთერის 5 წუთს, სადაც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ ამომრჩევლისთვის გაეცნოთ საკუთარი პროგრამა და ძირითადი გზავნილები. „მოამბის“ მიერ დათმობილი დროით ისარგებლა 45-მა პოლიტიკურმა პარტიამ. 6-მა უარი თქვა შესაძლებლობის გამოყენებაზე.

### (ცხრილი #4 მოამბეში მოწვეული საარჩევნო სუბიექტები/გამომსვლელები)

| მოამბე 21:00 - „არჩევნები 2020“ | | | |
|---|---|---|---|
| # | პარტიის დასახელება | გამომსვლელი | დათმობილი დრო |
| 1 | ქართული იდეა | თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა | 00:05:00 |
| 2 | თამაზ მეჭიაური-ერთიანი საქართველოსთვის | თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური | 00:05:00 |
| 3 | ლელო - მამუკა ხაზარაძე | ისნის მაჟორიტარობის კანდიდატი, ლანა გალდავა | 00:05:00 |
| 4 | მომავალი საქართველო | თავმჯდომარე გიორგი ლაღიძე | 00:05:00 |
| 5 | მწვანეთა პარტია | თავმჯდომარე გიორგი გაჩეჩილაძე | 00:05:00 |
| 6 | პარტია „სამართლიანობისთვის“ | თავმჯდომარე ეკა ბესელია | 00:05:00 |
| 7 | ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა | აღმასრულებელი მდივანი, ლაშა ცხადაძე | 00:05:00 |
| 8 | საქართველოს განვითარების პარტია | პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ვახტანგ იაშვილი | 00:05:00 |
| 9 | რეფორმატორები | თავმჯდომარე დავით მიროტაძე | 00:05:00 |
| 10 | არჩევანი სამშობლოსთვის | თავმჯდომარე ლელა გულედანი | 00:05:00 |
| 11 | ახალი ძალა | თავმჯდომარე ლაზარე ზაქარიაძე | 00:05:00 |
| 12 | ჩვენი საქართველო სოლიდარობის ალიანსის | თავმჯდომარე ბექა ნაცვლიშვილი | 00:05:00 |
| 13 | ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო | პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, გურამ ჩალაგაშვილი | 00:05:00 |
| 14 | ჩვენი გაერთიანებული საქართველო | პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, მამისა ჯაფარაშვილი | 00:05:00 |
| 15 | გირჩი | ერთ-ერთი ლიდერი ვახტანგ მეგრელიშვილი | 00:05:00 |
| 16 | საქართველოს კონსერვატიული პარტია | თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური | 00:05:00 |
| 17 | რეფორმერი | თავმჯდომარე თორნიკე ჯანაშვილი | 00:05:00 |
| 18 | სახალხო პარტია | თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე | 00:05:00 |
| 19 | პროგრესული საქართველო | თავმჯდომარე ირაკლი მურცხვალაძე | 00:05:00 |
| 20 | პარტია თეთრები | თავმჯდომარე თემურ შაშიაშვილი | 00:05:00 |
| 21 | მშრომელთა სოციალისტური პარტია | თავმჯდომარე თამაზ ჯაფოშვილი | 00:05:00 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 | პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნა“ | ლია მუხაშავრია, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ნაძალადევის რაიონში | 00:05:00 |
| 23 | ლეიბორისტული პარტია | შალვა ნათელაშვილი, ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი | 00:05:00 |
| 24 | პატრიოტთა ალიანსი | ნანა დევდარიანი, "პატრიოტთა ალიანსის" მაჟორიტარობის კანდიდატი | 00:05:00 |
| 25 | ტრადიციონალისტები | აკაკი ასათიანი, ტრადიციონალისტების ლიდერი | 00:05:00 |
| 26 | ბლოკი "სტრატეგია აღმაშენებელი" | თამთა შამათავა, ბლოკ "სტრატეგია აღმაშენებლის" საარჩევნო სიის წევრი | 00:05:00 |
| 27 | ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო | გიორგი კახიანი, პარტია "ქართული ოცნების" საარჩევნო სიის წევრი | 00:05:00 |
| 28 | პარტია "თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა" | მალხაზ გორგასლიძე, პარტია "თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზის" თავმჯდომარე | 00:05:00 |
| 29 | ახალი ქრისტიან-დემოკრატები“ | ანი შაიშმელაშვილი, პარტია "„ახალი ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენელი | 00:05:00 |
| 30 | ევროპული საქართველო | სერგი კაპანაძე, "ევროპული საქართველოს" საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი | 00:05:00 |
| 31 | ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა -ძალა ერთობაშია“ | პეტრე ცისკარიშვილი, "ნაციონალური მოძრაობის "წევრი | 00:05:00 |
| 32 | ერთიანი საქართველო | ნინო ბურჯანაძე, "ერთიანი საქართველოს" ლიდერი | 00:05:00 |
| 33 | თავისუფალი დემოკრატები | ემზარ კაკულია, თავისუფალი დემოკრატები - გენერალური მდივანი | 00:05:00 |
| 34 | საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა | გია ბერძენიძე, „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის" თავმჯდომარე | 00:05:00 |
| 35 | თავისუფალი საქართველო | კახა კუკავა, პარტია "თავისუფალი საქართველოს" ლიდერი | 00:05:00 |
| 36 | პარტია „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) | მიხეილ სალუაშვილი, პარტია „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) თავმჯდომარე | 00:05:00 |
| 37 | პარტია „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები“ | ვანო ნორაკიძე, პარტია „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეების“ წევრი | 00:05:00 |
| 38 | ქართული მარში | სანდრო ბრეგაძე, ,,ქართული მარშის"თავმჯდომარე | 00:05:00 |
| 39 | სოციალური სამართლიანობისათვის | მამუკა ტუსკაძე, პარტია „სოციალური სამართლიანობისათვის“ თავმჯდომარე | 00:05:00 |
| 40 | პარტია „საქართველო“ | გიორგი ლილუაშვილი, პარტია „საქართველოს“ თავმჯდომარე | 00:05:00 |
| 41 | პარტია "შეცვალე საქართველო" | გიორგი გაგნიძე, პარტია "შეცვალე საქართველოს" თავმჯდომარე | 00:05:00 |
| 42 | კოალიცია „ჯონდი ბაღათურია – ქართული დასი“ | დავით ოსეფაშვილი, კოალიცია „ჯონდი ბაღათურია – ქართული დასის“ წევრი | 00:05:00 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 43 | პარტია"ქართული ფესვები" | ბესო ჩუბინიძე, პარტია"ქართული ფესვების"წევრი | 00:05:00 |
| 44 | სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის | გია ჟორჟოლიანი, პარტია „სოციალ-დემოკრატები " თავმჯდომარე | 00:05:00 |
| 45 | ბესან გუნავა "ქართული არჩევანი" | ბესან გუნავა, "ქართული არჩევანის" ლიდერი | 00:05:00 |
| 46 | ევროატლანტიკური ვექტორი | | პარტიამ საეთერო დრო არ გამოიყენა |
| 47 | მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის | | პარტიამ საეთერო დრო არ გამოიყენა |
| 48 | ეროვნულ დემოკრატიული პარტია | | პარტიამ საეთერო დრო არ გამოიყენა |
| 49 | პარტია "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" | | პარტიამ საეთერო დრო არ გამოიყენა |
| 50 | პარტია "მამულიშვილთა ორდენი სამშობლო" | | პარტიამ საეთერო დრო არ გამოიყენა |
| 51 | სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები" | | პარტიამ საეთერო დრო არ გამოიყენა |

## მონიტორინგის არასაარჩევნო სუბიექტები

წინასაარჩევნო პერიოდში, ამომრჩეველთან, საარჩევნო სუბიექტების გარდა, კომუნიკაციაშია მთავრობის, პარლამენტის, პრეზიდენტის აპარატის, ცესკოს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ანგარიშში ნაჩვენებია არასაარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება „მოამბის" ყველა გამოშვებაში.

მონიტორინგის პროცესში მთავრობის გამომსვლელებად ჩათვლილია: პრემიერ მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, სახელმწიფო რწმუნებულები/ მოვალეობის შემსრულებლები.

**(ცხრილი #5 მონიტორინგის არასაარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება დათმობილი დროის მითითებით)**

| არასაარჩევნო სუბიექტები | პირდაპირი | ირიბი |
|---|---|---|
| მთავრობა | 6:33:03 | 7:18:52 |
| ცესკო | 1:31:35 | 2:07:37 |
| პარლამენტი | 1:19:03 | 1:27:14 |
| საერთაშორისო ორგანიზაციები | 1:07:40 | 1:42:19 |
| ადგილობრივი თვითმმართველობები | 0:54:57 | 0:56:43 |
| არასამთავრობო ორგანიზაციები | 0:42:58 | 0:28:37 |
| პრეზიდენტი | 0:25:02 | 0:14:08 |

(გრაფიკი #3 არასაარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების პროცენტული გადანაწილება. 100%-ად ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟი)

## არასაარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება




ანგარიშის ფარგლებში მოხდა მთავრობის გაშუქების თემატური მიმოხილვა პროცენტული მაჩვენებლის მითითებით, სადაც 100 %-ად ითვლება საანგარიშო პერიოდში გაშუქებული ინფორმაციის საერთო რაოდენობა. „მოამბის" მიერ გაშუქებული იყო საზოგადოების მაღალი ინტერესის შემცველი ისეთი თემები როგორიც არის: ეპიდემიოლოგიური ვითარება და ახალი რეგულაციები (30.47%), რასთან მიმართებაშიც მთავრობის წევრები განცხადებებს აკეთებდნენ მთავრობის სხდომებზე და საკოორდინაციო საბჭოს შეკრებებზე. ეპიდვითარების გარდა, საანგარიშო პერიოდში აქტიურად შუქდებოდა საქართველოს თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები(7.81%), საგარეო ურთიერთობები (7.03%), ინფრასტრუქტურული პროექტები (6.25%), ბოლო პერიოდში აქტუალური იყო საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დემარკაციის საკითხი(3.91%) და სომხეთ-აზერბაიჯანის სამხედრო კონფლიქტი (2.34%) რაზეც მთავრობის წევრები სისტემატურად აკეთებდნენ განცხადებებს .

კატეგორია „სხვა"-(9.38%) გაშუქდა: მეწყერი ხელვაჩაურში, სპეცოპერაცია ზუგდიდში, ცვლილებები სამოქალაქო კოდექსში, კულტურული ღონისძიებები.

(გრაფიკი #4 საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში“ მთავრობის გაშუქება თემების მიხედვით)

## მთავრობა (გაშუქებული თემები)



## ანალიტიკური გადაცემები/ თოქშოუები

წინასაარჩევნო მონიტორინგი მოიცავდა პირველი არხის ანალიტიკურ გადაცემებსა და თოქშოუებს: დებატები 2020, აქტუალური თემა, კვირის ინტერვიუ, თავისუფალი ხედვა, რეალური სივრცე, ვაშინგტონი დღეს, ახალი კვირა.

მონიტორინგის მეთოდოლოგია: ანალიტიკურ გადაცემებსა და თოქშოუებში გაიზომა საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი გაშუქება. სუბიექტისთვის დათმობილ დროდ ჩაითვალა თითოეული იმ გადაცემის სრული ქრონომეტრაჟი, რომელშიც გამომსვლელი იყო მიწვეული.

მოამბის სარედაქციო პოლიტიკისგან განსხვავებით, რომელიც საარჩევნო სუბიექტებს აშუქებდა თავიანთი აქტივობის შესაბამისად, ანალიტიკურ გადაცემებსა და თოქშოუებში მეტი აქცენტი გაკეთდა იმ პარტიების გაშუქებაზე, რომლებიც პოლარიზებული საარჩევნო და მედიაგარემოს პირობებში ამომრჩეველთა ყურადღების მიღმა რჩებიან. პირველი არხის პოლიტიკამ უზრუნველყო ამ პარტიების წარმოჩენა, მათი საარჩევნო პროგრამების შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირება და ამ გზით გამოკვეთა მრავალპარტიული საარჩევნო პროცესის მნიშვნელობა.

პირველი არხის წინასაარჩევნო თოქშოუში „დებატები 2020“ მოწვეული იყვნენ კვალიფიციური და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები. დებატების მონაწილეები შეირჩნენ წილისყრის პრინციპით. გადაცემაში მონაწილეობდა 42 საარჩევნო სუბიექტი.

## ცხრილი # 6 (დებატები 2020. მოწვეული კვალიფიციური და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები)

| | | |
|---|---|---|
| **კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები** | | |
| 1 | “ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო დემოკრატიული მოძრაობა” | ბესიკ დანელია |
| 2 | „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ | გიორგი შერვაშიძე |
